

ს.ს „თელასის“ შესყიდვების ელექტრონული სისტემა [www.tenders.telasi.ge](http://www.tenders.telasi.ge) (შემდგომში სისტემა) წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ პორტალს ს.ს „თელასის“ მიერ შესყიდვების პროცედურების განხორციელებისათვის. სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ს.ს „თელასი“

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სისტემის მეშვეობით ელექტრონული ტენდერების ჩატარებისა და მიმწოდებლების მიერ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებისათვის სავალდებულოა სისტემაში რეგისტრაცია.

### **ს/ს „თელასი“ ყველა უფლება დაცულია**

სისტემაში არსებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი დაცულია საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობით.

ს.ს „თელასის“ თანხმობის გარეშე თქვენ არ გაქვთ სისტემის შემადგენელი ელემენტების, მათ შორის, სისტემური ტექსტის, კოდის, გრაფიკული გამოსახულების, პროგრამული კოდის, პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლის, ატვირთვის, გადმოტვირთვის, კოპირების, გამოქვეყნების, ან ნებისმიერი სხვა სახით გავრცელების უფლება.

თქვენ უფლება გაქვთ ამოზეჭდოთ ან ჩამოტვირთოთ მასალების გარკვეული ნაწილი სისტემის სხვადასხვა ადგილიდან მხოლოდ საკუთარი, არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ თქვენ არ შეცვლით ან წაშლით მასალებზე დატანილ საავტორო ან საკუთრების უფლების დამადასტურებელ სხვა ინფორმაციას.

თქვენ საშუალება გექნებათ, ისარგებლოთ ს.ს „თელასის“ ელექტრონული შესყიდვების პორტალითა და მასთან დაკავშირებული მომსახურებით, თუ თქვენ დაიცავთ ქვემოთ მოცემულ მომხმარებლის წესებსა და პირობებს. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას. თქვენ შეგიძლიათ არ შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა და ისარგებლოთ ელექტრონული შესყიდვების პორტალით მომხმარებლის ყველა წესისა და პირობის დაცვის ვალდებულების გარეშე, სტუმრის სტატუსის გამოყენებით. სისტემაში მომხმარებლად რეგისტრაციით თქვენ ვალდებულებას იღებთ, დაიცვათ და შეასრულოთ ქვემოთ მოცემული მომხმარებლის ყველა წესი და პირობა.

### **მომხმარებლის რეგისტრაცია, პაროლი და უსაფრთხოება**

მომხმარებლის სარეგისტრაციო განაცხადში თქვენ უთითებთ მომხმარებლის სახელსა და პაროლს. პორტალზე შესვლას თქვენ მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხო რეჟიმის არჩევის შემდეგ შეძლებთ.

თქვენ გეკისრებათ საკუთარი მომხმარებლის სახელისა და პაროლის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და სრული პასუხისმგებლობა ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდება თქვენი მომხმარებლის სახელითა და პაროლით. თქვენ ვალდებულებას იღებთ:

(ა) დაუყოვნებლივ აცნობოთ ს.ს „თელასს“ თქვენი პაროლისა და ანგარიშის ნებისმიერი არასანქცირებული გამოყენების და უსაფრთხოების ნორმების ნებისმიერი სხვა სახის დარღვევის შესახებ;

(ბ) უზრუნველყოფთ, რომ ანგარიშიდან გამოხვალთ ყოველი წვდომის შემდეგ.

რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, საჭიროებისამებრ შეცვალოს ან განაახლოს თავის პროფილი.

### **სისტემის მოდიფიცირება**

სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიცირებას ახორციელებს ს.ს „თელასი“ და იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეცვალოს, დაამატოს, წაშალოს სისტემური ინფორმაცია და/ან შეცვალოს მისი შინაარსი, კლასიფიკაცია ან გაფორმება, თუ იგი ამას მიზანშეწონილად ჩათვლის. მომხმარებელი ვალდებულია, გაეცნოს პირობებს და/ან მათ ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას სისტემაში შესვლისას.

### **სისტემური მოთხოვნები**

სისტემის გამართულად მოხმარებისთვის, მომხმარებლის ტექნიკური აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა და ინტერნეტ-კავშირი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ რეკომენდირებულ მოთხოვნებს:

ინტერნეტთან კავშირის სიჩქარე (ატვირთვა/ჩამოტვირთვა) – 2 მგბ/წმ

ბროუზერი Mozilla Firefox 3.6 (ან შემდგომი ვერსია) / ან Internet Explorer 7 (ან შემდგომი ვერსია) / ან Google Chrome

ს.ს „თელასი“ პასუხს არ აგებს მომხმარებლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მინიმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისტემის გამოყენების შედეგებზე.

### **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია და საფასური**

მიმწოდებლების მიერ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებისათვის დაწესებული საფასური, (მისი არსებობის შემთხვევაში) გადახდილი უნდა იქნას მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული კორპორატიული (ბიზნეს) პლასტიკური ბარათის მეშვეობით. საფასურის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული კორპორატიული (ბიზნეს) პლასტიკური ბარათის მეშვეობით, თუ ს.ს „თელასის“ მიერ სხვა რამ იქნება დადგენილი. საფასური გადაიხდება ს.ს „თელასის“ ანგარიშზე დადგენილი ოდენობით. საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას. საფასურის (მისი არსებობის შემთხვევაში) გადახდის გარეშე მიმწოდებელს არ შეუძლია ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება. საფასური გადაიხდება ცალკეულად ყოველ ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად.

### **სატენდერო წინადადების წარდგენის დადასტურება**

მომხმარებელმა უნდა გაიაროს სატენდერო წინადადების წარდგენისთვის საჭირო ყველა საჭირო პროცედურა და ეტაპი. სატენდერო წინადადება წარდგენილად ითვლება მას შემდეგ, რაც სისტემა დაადასტურებს სატენდერო წინადადების წარდგენისთვის საჭირო ყველა საჭირო პროცედურისა და ეტაპის წარმატებით გავლას. ს.ს „თელასი“ პასუხს არ აგებს მომხმარებლის მიერ არასრული სატენდერო წინადადების წარდგენისათვის.

## **ფაილების ატვირთვა**

სიტემაში ნებისმიერი დოკუმენტის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ pdf-ფორმატში. თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) მეგაბაიტს. მომხმარებლის მიერ სისტემაში ატვირთული ფაილი არ უნდა შეიცავდეს ვირუსებს და ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ს.ს „თელასის“ მიერ შესყიდვის კონკრეტულ პროცედურასთან დაკავშირებით მოთხოვნილ ინფორმაციას. შემოთავაზება ხელმოწერილი უნდა იყოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

## **მომხმარებლის ქცევის ნორმები**

ს.ს „თელასი“ არ აკონტროლებს სიტემაში განთავსებული ინფორმაციის შინაარსს და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს მის სისწორეს, ნამდვილობასა და ხარისხს. თქვენ პირადად და სრულად აგებთ პასუხს თქვენს მიერ სისტემაში ატვირთული ინფორმაციის შინაარსზე. ს.ს „თელასი“ არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ სისტემაში განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე, მათ შორის დაშვებულ შეცდომებსა თუ უზუსტობებზე, ან ნებისმიერი ზიანსა თუ ზარალზე, რომელიც შეიძლება მიყენებული იქნეს გამოქვეყნებული, ელ-ფოსტით ან ვებ-ვერდის მეშვეობით გადაცემული შინაარსის გამოყენების გამო.

## **სისტემის საერთაშორისო გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური პირობა:**

აღიარებთ რა ინტერნეტის გლობალურ ხასიათს, თქვენ ვალდებული ხართ იღებთ დაიცვათ ონლაინ რეჟიმში ქცევისა და მისაღებ შინაარსთან დაკავშირებული ყველა ადგილობრივი წესი. კერძოდ, თქვენ ვალდებული ხართ იღებთ, დაიცვათ საქართველოდან ან საქართველოში ან თქვენი ადგილსამყოფელი ქვეყნიდან ან ქვეყანაში ტექნიკური ინფორმაციის გადაცემა/მიღებასთან დაკავშირებული ყველა ნორმა.

## **სხვადასხვა**

წინამდებარე პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. პირობების მთლიანად ან რომელიმე დებულების შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ ს.ს „თელასს“.

## **დავა**

მხარეები ცალსახად აღიარებენ, რომ პირობების გამო ან მათთან დაკავშირებით ან ამ პირობებით განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა ექცევა თბილისის საქალაქო სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციაში და შესაბამისად, ნებისმიერი დავა განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცემა იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა სხვა სასამართლოებს/ტრიბუნალებს მსგავსი ან/და იგივე იურისდიქცია.

ს.ს „თელასი“ უფლებას იტოვებს, აღძრას სარჩელი იმ მომხმარებლის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს სისტემის გამოყენების პირობებს.

## **პირობების შეცვლა**

სს.ს „თელასი“ უფლებას იტოვებს, შეცვალოს წინამდებარე პირობები ან/და დამატებები შეიტანოს მასში. ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სისტემაში მათი თავდაპირველად განთავსების შემდეგ, და თქვენი თანხმობა მიღებულად ჩაითვლება, თუ თქვენ ამის შემდეგ კვლავაც განაგრძობთ სისტემის გამოყენებას. სს.ს „თელასი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს, შეაჩეროს/გააუქმოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი სისტემური ინფორმაცია ან/და მომსახურება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

## **საერთო პოლიტიკა**

ჩვენ არ გავცემთ პირად ინფორმაციას მესამე პირებზე, თუ ეს კანონით არ არის გათვალისწინებული. თუ თქვენ არ გსურთ, რომ ჩვენს მიერ შენახული იქნეს თქვენი პირადი ან ბიზნეს ინფორმაცია, გთხოვთ, ნუ მოგვაწოდებთ მას; თუმცა, ამ ინფორმაციის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენი ონლაინ გარიგების დამუშავებას. თქვენი პირადი ან ბიზნეს ინფორმაცია შეიძლება თქვენს მიერ გადასინჯული, განახლებული და შესწორებული იქნას უშუალოდ სისტემაში.

## **უსაფრთხოება**

სისტემა აღჭურვილია უსაფრთხოების მექანიზმებით, რომლებიც იძლევა ინფორმაციის დაკარგვის, არასწორი გამოყენებისა და შეცვლისგან მისი დაცვის საშუალებას.

ამ პირობების რეგულირების საგანს არ წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემული პლასტიკური ბარათების მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციები და სააგენტო არ აგებს პასუხს აღნიშნულ ტრანზაქციებზე.

## **სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული პახუსიმგებლობა**

სისტემაში დარეგისტრირებული ყველა მომხმარებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს მის მიერ სისტემაში განხორციელებული ყველა მოქმედების იურიდიულ შედეგზე. სს.ს „თელასი“ პასუხს არ აგებს შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენებით მომხმარებლის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე და ამ ქმედებით გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.

## **პრეტენდენტთა საყურადღებოდ!**

წინადადების ფასის შეთავაზებისთვის განკუთვნილი დროის **ბოლო 30 წამში** გაკეთებული შეთავაზება (როგორც ძირითად დროში, ასევე დამატებით რაუნდებში) შესაძლოა არ **აისახოს** სისტემაში სერვერთან დასაკავშირებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.

ამგვარ შემთხვევებში, სს.ს „თელასი“: **პასუხს არ აგებს** გაკეთებული შეთავაზების სისტემაში ასახვაზე და აღნიშნული წარმოადგენს პრეტენდენტის რისკს!

გავეცანი პირობებს ვეთანხმები